

აფხაზეთში ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების გადარჩენის პროგრამა

შესავალი

ჩვენი მიზანი ერთია, რომ მსოფლიოს საზოგადოებას გუთხრათ, აფხაზეთი – საქართველოა, საქართველოს ძირძველი კუთხეა – ქართველების სამკვიდროა, მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული მამული. ამის თაობაზე არაერთი უბედესი ქართული თუ უცხოური წყაროებიც მოგვითხრობენ.

გვან შუა საუკუნეებში, როცა ჩრდილოეთ კავკასიონის მთებიდან ამ მიწაზე უცხო ტომების შვილები შემოვიდნენ, (ისინი, ალბათ, არც ისე ბევრნი იყვნენ. ყოველი შემთხვევისათვის, დღეს არავის არ ძალუძს მათი რაოდენობის დადგენა), საქართველომ ისინი მიიღო და შეიკედლა. და საბოლოოდ, ყველას ერთად, დამხვდურთაც და მოსულთაც, ეწოდათ აფხაზები... მთელი კუთხის, ადრე კი, მთელი დასავლეთ საქართველოს, ანაც, საერთოდ, სრულიად საქართველოს მკვიდრთა სახელი. თვით ეს ტომები საკუთარ თავს არ უწოდებენ აფხაზს... ამ სახელით მათ ისევ და ისევ ჩვენ ვეძახით (ამაშიც მათ მიმართ ჩვენი კეთილი ნება იხატება). ახლა კი, როცა საჭიროდ ცნეს მათი ერთმანეთისაგან გამოცალკავება, ეს იოლი აღარ აღმოჩნდა, ამიტომაც, ძალზე ხშირად, უფრო მეტად გაუცნობიერებლად, დღევანდელ ადიღებს, აბაზებს, ასევე აფსუებსაც ხალხიც და ზოგიერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერიც აფხაზებად მოიხსენიებენ. ასევე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული სულიერების საგანძურები – მსოფლიოს კულტურული და ისტორიული ფასეულობები, ქრისტიანული ეკლესიის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლები ხშირად ე.წ. აფხაზური, ან რაც უფრო მეტად საოცარია – რუსული მართმადიდებლური ეკლესიის პრეტენზიის საგანიც ხდება.

მე-20 საუკუნის მიწურულს კი, ჩვენ – აფხაზეთის ქართველობა–ჩვენი სამკვიდროდან საშინელი სისატიკით გამოგვაძევეს. დიდმა ჩრდილოელმა მეზობელმა თავის საუკუნოვან ოცნებას ერთმანეთს შეზრდილი ქართველებისა და აფხაზების გაუცხოებისა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერების გზით მიაღწია.

აფხაზეთის დროებითმა დაკარგვამ გამოიწვია ქართული სულიერების მთავარი შემადგენლის – აფხაზეთის კულტურული და ისტორიული ფასეულობების დროებითი დაკნინება. განადგურებულია ან ნადგურდება ქართული კულტურის მატერიალური ფასეულობების მნიშვნელოვანი ძეგლები – უმთავრესად უდიდესი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე, ზოგი უნიკალურიც კი, ქრისტიანული საკულტო (საეკლესიო) ნაგებობები, შუა საუკუნეების ფეოდალური ანსამბლები, კედლის მხატვრობის უიშვიათესი ნიმუშები და ამ მხატვრობის მიერ შემონახული ისტორიული წარწერები – მხოლოდ ქართული!

მთელმა საქართველომ და მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ უნდა შეძლონ ამ საშიშროების დანახვა. იგი დროზე უნდა შეაჩერონ.

ბოლო პერიოდში მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე მთელი სიდიადით გამობრწყინდა ერთიანი ქართული კულტურის მნიშვნელობა, კულტურისა, რომელიც ქართველი ხალხის და სრულიად საქართველოს

თვითმყოფადობის გამოვლინების სავიზიტო ბარათად წარმოჩინდა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტისას. ამ ფონზე მეტად აქტუალურ ხასიათს იძენს ქართული სულიერების: მუსიკა, ცეკვა, თეატრი, კინო, მხატვრობა – ძეგლების მდგომარეობა და მათი შემდგომი პერსპექტივა აფხაზეთში.

აფხაზეთში ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების სავალალო მდგომარეობისა და მათი გადარჩენის მიზნით შედგენილი სახელმწიფო პროგრამის ჯეროვანი პრეზენტაცია მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ახალი კუთხით წარმოაჩენს რუსეთის არა მარტო სამხედრო, არამედ რელიგიურ-კულტურულ ექსპანსიას აფხაზეთში და ახალ სტიმულს შესძენს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების პროცესს.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

აფხაზეთის სულიერი საგანძურები

- ბიჭვინთის საეკლესიო ანსამბლი (IV–X სს)
 - ბიჭვინთის ბაზილიკა (IV ს)
 - ბიჭვინთის საეპისკოპოსო ტაძარი (X ს)
- ანაკოფია-ახალი ათონის საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი (IX-X ს)
 - ანაკოფიის წმ. სვიმონ კანანელის ეკლესია (IX-X ს)
 - ახალი ათონის წმ. პანტელეიმონის ტაძარი (XIX ს)
- ბედიის ტაძარი (X-XI ს)
- ლიხნეს (ლიხნის) ეკლესია (X-XI ს)
- მოქვის ტაძარი (X ს)
- თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე (X ს)
- ღრანდის ტაძარი (VIII ს)
- ილორის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს)
- ბზიფის ციხის ეკლესია (X ს)
- ძველი გაგრის ეკლესია (VI ს)
- კომანის წმ. იოანე ოქროპირის მონასტერი (I ს)

Program for Saving Georgian Historical-Cultural Heritage in Abkhazia

Introduction

Our aim is to tell the international community that Abkhazia represents an inalienable part of Georgia, residence of Georgians, which was inherited from the ancestors. A number of ancient Georgian and foreign sources have referred to this issue.

In late medieval centuries, when foreign tribes entered this land from the mountains of Northern Caucasus (probably they were not numerous, but in any case, nobody is able now to ascertain their number), Georgia has accepted them and gave them shelter. And in the end, all of them -hosts and guests- were named Abkhazians... which was the name of the residents of a whole region, and previously, name of the whole Western Georgia or even the whole country of Georgia. These tribes do not call themselves Abkhaz... We are the ones who call them by this name (and this is another expression of our good will towards them). As for now, when it became necessary to distinguish them, it appeared to be quite difficult. That's why very often the populace as well as some Georgian and foreign scientists unconsciously refer to present Adigheans, Abaz and Apsua as Abkhaz. By the same token, treasures of Georgian spirituality located on present-day Abkhazian territory - cultural and historical heritage of the world, monuments of the Christian Church, which have worldly importance, often become an issue of claim on the part of so-called Abkhazian, or what is more surprising - Russian Orthodox Church.

And by the end of 20th century, we - the Georgians of Abkhazia - were expelled from our homeland by a horrible violence. The great Northern neighbor has achieved her century-long dream via alienating intertwined Georgians and Abkhazians and then fitting them against each other.

Temporary loss of Abkhazia brought about a temporary decadence of Abkhazian cultural and historical heritage, which represents the main component of Georgian spirituality. Prominent monuments of the Georgian material culture are already destroyed or being destroyed - mainly buildings of Christian Churches, feudal castles of medieval centuries, rare samples of mural paintings and historical inscriptions preserved by these paintings - only Georgian inscriptions. These monuments bear a huge artistic-historical importance, and some of them are even unique.

The whole Georgia and progressive society of the world have to discern this threat. It should be stopped in time.

The importance and magnificence of unified Georgian culture has recently flashed before the international community. This is the culture that appeared as a visit card expressing the identity of entire Georgia and the Georgian people during the visit of the US President George W. Bush in Tbilisi. Against this background, present state and future perspective of Georgian spiritual monuments - Georgian Church, Georgian Word, Georgian Art: music, dance, theater, cinema, painting - in Abkhazia are getting more urgent.

Proper presentation of the state program, elaborated for saving endangered Georgian historical-cultural heritage in Abkhazia, before the world community will show in the new light not only military but also religious-cultural expansion of Russia in Abkhazia and will give a new impetus to the process of political resolution of the Abkhazian conflict.

Brief Historical Overview

Spiritual Heritage of Abkhazia

- **Bitchvinta Church Complex (IV-X A.D.)**
 - **Bitchvinta Basilica (IV A.D.)**
 - **Bitchvinta Bishopric Temple (X A.D.)**
- **Anakopia -Akhali Atoni Church-Monastery Complex (IX-X A.D.)**
 - **Anakopia St. Svimon Kananeli Church (IX-X A.D.)**
 - **Akhali Atoni St. Panteleimoni Temple (XIX A.D.)**
- **Bedia Temple (X-XI A.D.)**
- **Likhne (Likhni) Church (X-XI A.D.)**
- **Mokvi Temple (X A.D.)**
- **Thamar's Bridge over the Besleti River (X A.D.)**
- **Dranda Temple (VIII A.D.)**
- **Ilori St.George Church (XI A.D.)**
- **Church of the Bziphi Fortress (X A.D.)**
- **Old Gagra Church (VI A.D.)**
- **Komani St. John Chrysostom Monastery (I A.D.)**

ზურაბ ჯგუბურია

საქართველოს პარლამენტის წევრი